

# საგადასახადო სიახლეები

## ცვლილება ბრძანებაში

გვერდი 1

## გარდამავალი დებულებები

გვერდი 2

## ცვლილება ბრძანებაში

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 30 მარტის №131 ბრძანების მიხედვით ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ბრძანებაში ცვლილებები დაკავშირებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესულ ცვლილებებთან და ითვალისწინებს მათ.

### საშემოსავლო გადასახადის წლიური ღირებულება

ცვლილების მიხედვით განისაზღვრა, რომ საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის შევსებისას მე-15 უჯრაში (ერთობლივი შემოსავალი) ასევე არ მიეთითება 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის მიერ ამ კოოპერატივისაგან მიღებული დივიდენდები.

ასევე, აღნიშნულ უჯრაში ცვლილების თანახმად არ მიეთითება საქართველოს სანარმოს მიერ გამოშვებული და უცხო ქვეყნის ალიანტებულ საფონდო ბირჟის დისტინგუიშ სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან მიღებულ პროცენტებსა და თავისუფად ინდუსტრიულ ზონაში თიმ-ის სანარმოდან მიღებული პროცენტებს.

ცვლილება ძალაშია 2018 წლის 31 მარტიდან.

### მოგების ყოველთვიური ღირებულება

მე-40<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც 16.1 სტრიქონში (განაწილებული დივიდენდი) ასევე აისახება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ალიანტებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის გადაცემით პარტნიორზე განხორციელებული გადახდა.

ასევე, ამავე ქვეპუნქტის შენიშვნას ჩაემატა შემდეგი შინაარსის „ა.დ“ და „ვ“ ქვეპუნქტები, და ცვლილებები შევიდა „ა.გ“ და „ე“ ქვეპუნქტებში. კერძოდ:

- ▶ „ა.დ“ ქვეპუნქტის მიხედვით 16.1 სტრიქონში შეიტანება კომერციულ ბანკზე, საკრედიტო კავშირზე, სადამლვევო ორგანიზაციაზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და ღობბარდზე დივიდენდის განაწილება, თუ მოგება განეკუთვნება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდებს
- ▶ „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით 16.1 სტრიქონში არ შეიტანება არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულების მიერ 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგების განაწილება
- ▶ „ე“ ქვეპუნქტში შესული ცვლილების მიხედვით აღნიშნულ სტრიქონში არ შეიტანება 2008 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან კომერციული ბანკისგან, საკრედიტო კავშირისგან, სადამლვევო ორგანიზაციისგან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ღობბარდისგან მიღებული დივიდენდის განაწილება
- ▶ „ა.გ“ ქვეპუნქტში დაკონკრეტდა რომ 16.1 სტრიქონში შეიტანება მხოლოდ 2019 წლის 1 იანვრამდე კომერციულ ბანკზე, საკრედიტო კავშირზე, სადამლვევო ორგანიზაციაზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და ღობბარდზე დივიდენდის განაწილება, თუ მოგება განეკუთვნება 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდებს.

ცვლილება ძალაშია 2018 წლის 31 მარტიდან.

## ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია უახლესი საგადასახადო ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად.

**მინილ ენუქიძე**

MEnukidze@bdo.ge

▶ ნაიკითხეთ მეტი [www.bdo.ge](http://www.bdo.ge)

## გარდასახადო ღებულებები

ცვლილება შეეხო გარდამავალი დებულებების მე-13 პუნქტს, რომლის მიხედვითაც 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შერჩეულ პირს არააქციზური საქონლის ნომინალური ღირებულების ნაცვლად აუნაზღაურდება არააქციზური საქონლის სავადებულო მარკირების ნომინალური ღირებულება შემოსავლების სამსახურის მიერ, შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ცვლილების მოქმედება ვრცელდება 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.



ეს პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელო სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ შპს „ბიდიოს“ პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს „ბიდიო“, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ბიდიო არის საერთო სავაჭრო სახელი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.